საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4181/01
26/04/2022

4181-01-2-202204260944

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალს“
მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №15

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №5846 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარში, ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (71.62.62.174) მოცემულია შეცდომით და ვერ ხერხდება საპროექტო ტერიტორიის იდენტიფიცირება, შესაბამისად, საჭიროებს კორექტირებას;
- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, 3.2 თავში აღნიშნულია, რომ გაწმენდილი წყალი, გამწმენდი ნაგებობიდან გამოვა პოლიეთილენის გოფრირებული მილის მეშვეობით და ჩაშვებული იქნება მშრალ ხევში, ტყით დაფარულ ფერდობზე, თუმცა, საპროექტო ტერიტორიის სიტუაციურ გეგმაზე (ნახაზი 2.1) წყალჩაშვების წერტილად მონიშნულია მდ. არაგვი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს წყალჩაშვების საკითხი, წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატების მითითებით. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია წყალჩაშვების წერტილამდე ჩამდინარე წყლების მისაყვანად გათვალისწინებული მილის განთავსების (მიწისზედა/მიწისქვეშა) და მისი პარამეტრების შესახებ;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია გამწმენდ ნაგებობაში წარმოქმნილი ლამის შემდგომი მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის, მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე